პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 194 (4188)

1970 წ. 3 ოქტომბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ჭექის...

სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის 30 წლისთავი შესრულდა. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტებმა, „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურელებმა ეს იუბილე ზეიმით აღნიშნეს. მაგალითად, თბილისში, ლენინის სახელობის მოედანზე, სტარტი მიეცა ამ ზეიმისადმი მიძღვნილ მოტოგადარბენას — საქართველოს რგალს.

მხურვალედ მივესალმებით მუშათა კვალიფიციური კადრების სამჭედლოს, მათს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს.

## სსრ კავშირის ქალთა ნაკრები — მსოფლიო ჩემპიონი

სოფია, 2 ოქტომბერი. ბულგარეთში მიმდინარე ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატების მთავარ ფინალურ ჯგუფებში შემდგომი 2 ტურის მატჩები გაიმართა. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ზედიზედ კიდევ ორი მატჩი მოიგო. ჯერ რუმინელები დაამარცხა — 3:0 (15:4,15:5, 15:6), მერე კი მასპინძლები — 3:0 (15:12, 15:8, 15:5).

რაც შეეხება სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებს, ასე უხეიროდ იგი არც ერთ ჩემპიონატში არ გამოსულა. ორი მარცხის შემდეგ ამ გუნდმა კიდევ 2 მატჩი წააგო და დაკარგა საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის ყოველგვარი შანსი. 30 სექტემბერს საბჭოთა სპორტსმენები დამარცხდნენ მასპინძლებთან — 0:3 (14:16, 13:15, 14:16), 1 ოქტომბერს კი პოლონელებთან — 1:3 (12:15, 12:15, 15:4, 10:15).

30 სექტემბერს დანარჩენმა გუნდებმა შეხვედრები ასე დაამთავრეს: ქალები. ჩეხოსლოვაკია — კუბა 3:2 (15:3, 13:15, 15:11, 11:15, 15:11), კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — ბულგარეთი 3:0 (15:5 15:1, 15:3), იაპონია — უნგრეთი 3:1 (15:4, 5:15, 15:0, 15:3); ვაჟები. პოლონეთი — ბელგია 3:1 (12:15, 15:2, 15:6, 15:11), იაპონია—ჩეხოსლოვაკია 3:0 (15:9, 15:5, 15:5), გდრ — რუმინეთი 3:0 (15:12, 15:10, 15:7).

დღეს ჩემპიონატებში ბოლო ტურის მატჩები გაიმართება. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს ხვდება. ამ მატჩის ბედი საბჭოთა გუნდის შედეგებზე გავლენას ვეღარ მოახდენს: მან უკვე გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელია გ. ახვლედიანი, მწვრთნელი — ვ. ტიურინი.

## საზღვარგარეთ

● ბერლინი, 1 ოქტომბერი. მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ და დიდოსტატმა პ. კერესმა ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს. გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკეების გამოსვლამ ბერლინელი სტუდენტობის ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. სპასკიმ 31 დაფაზე გამართა სეანსი: 21 პარტია მოიგო, 8 ყაიმით დაამთავრა და 2 წააგო. კერესმა 10 დაფაზე ითამაშა: 9 პარტია მოიგო და 1 ყაიმით დაამთავრა.

● ბარსელონა, 1 ოქტომბერი. აქ გაიმართა 10 სახელმწიფოს მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც კუბის წარმომადგენლებმა რამდენიმე საუცხოო შედეგს მიაღწიეს. 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობეს პ. მონტესმა — 10,2 (ფინიშთან მეორე იყო ახალგაზრდა ხ. ტრიანა — 10,3) და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა მ. კობიანმა—11,5. 400-მეტრიან დისტანციაზე იმარჯვა ავსტრიელმა მ. სიკორამ — 53,3. II ადგილზეა კუბელი კ. ტრუსტე — 54,2. 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის მწვავე ბრძოლა გაიმართა 19 წლის მ. დიუვივიესა და სახელგანთქმულ იუგოსლაველ ვ. ნიკოლიჩს შორის. იუნიორთათვის საფრანგეთის ახალი რეკორდით გაიმარჯვა დიუვივიემ — 2.05,5. ნიკოლიჩი მეტოქეს სულ 0,1 წამით ჩამორჩა. ახალგაზრდა მ. ბოუერსმა (აშშ) 211 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა პ. ნევალამ (ფინეთი) 84,52 მეტრზე ტყორცნა შუბი.

● ლესტერი, 1 ოქტომბერი. ინგლისის ამ ქალაქში იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა 4×400 მეტრზე ესტაფეტაში: ჯ. კეინსმა, დ. პრაისმა, პ. ბივენმა და დ. ჯენკინსმა ეს მანძილი 3 წუთსა და 10,8 წამში გაირბინეს. რ. რიდლიმ, რ. სტირლინგმა, პ. ლოუმ და შ. კერიმ თავიანთ ამასწინანდელ მსოფლიო რეკორდზე მიიტანეს იერიში 4×800 მეტრზე ესტაფეტაში. მაგრამ ამ მძლეოსან ქალთა დრო — 8.30,4 — 5 წამზე მეტით უარესია რეკორდზე.

● პარიზი, 1 ოქტომბერი. საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსან ვაჟთა ნაკრები გუნდების აქ გამართულ მატჩში ფრანგმა გ. დრიუმ 110 მეტრზე თარჯრბენში 13,7 წამი აჩვენა. 4×100 მეტრზე ესტაფეტა მეტოქეებმა ერთნაირი შედეგით (39,5) დაამთავრეს. ფოტოფინიშმა გამარჯვება მასპინძლებს მიაკუთვნა.

● ბელგრადი, 1 ოქტომბერი. ბელგრადელი მემანქანე თ. ბაკიჩის მოხდენილმა ხელმა სსრ კავშირის ჩემპიონისთვის — მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდისთვის ძნელი „ხვედრი" ამოიღო კენჭისყრისას. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახალი გათამაშება (ძველი პრიზი სამუდამოდ გადაეცა ზაგრების „მლადოსტს", რომელმაც სამჯერ მოიპოვა ეს ნადავლი) მოსკოველებმა ყველაზე ძნელ წინასწარ ქვეჯგუფში უნდა დაიწყონ. მათ ძლიერ მეტოქეებთან — „ოსკ ბუდაპეშტთან" (უნგრეთი), ბუქარესტის „დინამოსთან" (რუმინეთი), „მარსელთან" (საფრანგეთი) და „ისტამბულთან" (თურქეთი) ექნებათ საქმე. ნახევარფინალში გასასვლელად მოსკოველებმა მარსელში I ან II ადგილი უნდა დაიკავონ. სამ ქვეჯგუფად დაყოფილი დანარჩენი 14 გუნდი იმავე ვადებში (5-8 ნოემბერი) შეხვდება ერთმანეთს ათენში, სოფიასა და ბელგრადში (ან ზაგრებში, იმის მიხედვით, თუ ვინ გახდება იუგოსლავიის ჩემპიონი). 8 საუკეთესო გუნდი კენჭისყრის შემდეგ ორ ნახევარფინალურ ჯგუფს შექმნის. აქ I-II ადგილებზე გასულნი ფინალურ ჯგუფს შეადგენენ. ნახევარფინალური თამაშები 27-29 ნოემბერს გაიმართება, ხოლო ფინალური — 18-20 დეკემბერს. შეხვედრების ადგილს კენჭისყრა განსაზღვრავს.

● კიშინიოვი, 1 ოქტომბერი. მოლდავეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში რესპუბლიკის ორი რეკორდი გაუმჯობესდა: ა. არჩაკოვმა ათჭიდში 7432 ქულა მოაგროვა, გ. გამოვმა კი 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 1:31.43,8 აჩვენა.

● ნაირობი, 1 ოქტომბერი. აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნების ჩემპიონატის მონაწილეებმა რამდენიმე ეროვნული რეკორდი დაამყარეს. 110 მეტრზე თარჯრბენში კენიის რეკორდსმენი გახდა კიპლაგატი — 14,2 წამი, 400 მეტრზე თარჯრბენში კი კოპკემბოი — 50,0. ამ დისტანციაზე მეორე იყო კოსკეი. მისი შედეგი — 50,2 წამი — უგანდის რეკორდია, ბადროს ტყორცნაში კენიის რეკორდსმენი გახდა ოტიენო — 53,15 მ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კეინომ ორი გამარჯვება იზეიმა: 1500 (3.39,2) და 5000 მეტრზე (14.05,0) რბენაში.

● კოპენჰაგენი, 1 ოქტომბერი. დანიის უძლიერესმა მოთხილამურე ქალმა კ. კარლსენმა მარათონში გააუმჯობესა ახალზელანდიელი მ. დენიზის არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი (3:10.18). კარლსენი ვაჟთა შეჯიბრებაში ჩაება და 41 სპორტსმენს შორის მე-14 შედეგი — 3:18.24 — აჩვენა.

## დაწყვილდნენ

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. გუშინ აქ, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, მოეწყო სსრ კავშირის თასზე მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრების კენჭისყრა. როგორც ცნობილია, თასისთვის ბრძოლას აგრძელებენ საერთაშორისო ოსტატები მ. რანიკუ (ტალინი), ნ. მედიანიკოვა, ოსტატი ტ. ლემაჩკო (ორივე — მოსკოვი) და პირველთანრიგოსანი ნ. გორდონი (ოდესა), რომლებმაც ზაფხულში ასპარეზობის პირველ ეტაპში (კალინინგრადი) გაიმარჯვეს.

კენჭისყრამ მეტოქენი ასე დააწყვილა: რანიკუ — გორდონი და მედიანიკოვა — ლემაჩკო. ეს იქნება ნახევარფინალური მატჩები. აქ გამარჯვებულნი შეხვდებიან ერთმანეთს ფინალურ მატჩში, სადაც თასის ბედიც გადაწყდება.

თასის მფლობელი დაჯილდოვდება ოქროს მედლით, მისგან ძლეული მოჭადრაკე — ვერცხლის მედლით, ხოლო ნახევარფინალში ორივე დამარცხებული (ისინი ერთმანეთში გაითამაშებენ მატჩს) ბრინჯაოს მედლებს მიიღებს.

მეტოქეები ოთხ პარტიად ითამაშებენ მატჩებს. შეხვედრები ზედიზედ ოთხ დღეს შედგება. თუ შედეგი საყაიმო იქნა (2:2), მაშინ დამატებითი, მეხუთე პარტია გათამაშდება. თუ ეს პარტიაც ყაიმით დასრულდა, დაინიშნება კიდევ ორი დამატებითი შეხვედრა და თუ ეს მატჩიც ყაიმით (1:1) დამთავრდა, მაშინ საკითხს გადაწყვეტს მეტოქეთა მიერ ორივე ეტაპზე დაგროვილი ქულების საერთო ჯამი. თუ ამანაც ვერ გადაჭრა დავა, მაშინ მხედველობაში მიიღებენ როგორ ითამაშეს მოჭადრაკეებმა შავებით. თუ საქმეს ვერც ამან უშველა, მაშინ გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა კენჭისყრას მიენდობა.

## ჭაბუკთა კიდევ ერთი ტურნირი

ამ ბოლო ხანს საბჭოთა კავშირში ბევრი რამ გაკეთდა ჭაბუკი მოჭადრაკეების დაოსტატების მიზნით და სასიხარულო შედეგებმაც არ დააყოვნა. მაგალითად ისიც კმარა, რომ 19 წლის ა. კარპოვი საერთაშორისო დიდოსტატი გახდა, ხოლო მისი თანატოლები ვ. ტუკმაკოვი, ი. ბალაშოვი, რ. ვაგანიანი სსრ კავშირის 38-ე ჩემპიონატის ფინალში მოხვდნენ.

და აი, ახლაც, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია 2-22 ოქტომბერს სოხუმში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირს მართავს. მსგავსი შეჯიბრება ჩვენში პირველად ტარდება. საბჭოთა ჭაბუკი ოსტატების გარდა სათამაშოდ მოწვეული არიან იუგოსლავიის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეები. სულ სარბიელზე 14 კაცი გამოვა.

ტურნირში ითამაშებს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი, ოსტატი ე. უბილავაც. სოხუმში გამგზავრების წინ თბილისელმა მოჭადრაკემ „ლელოს" კორესპონდენტს უთხრა:

— ტურნირში ინტერესით მივიღებ მონაწილეობას, მით უმეტეს, რომ მწვრთნელობას გამიწევს საერთაშორისო დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე. ამ ზაფხულს ბორჯომში გურგენიძე ნანა ალექსანდრიას ამეცადინებდა. გაკვეთილებს მეც ვესწრებოდი. რა თქმა უნდა, ბევრი შევიძინე და, ვფიქრობ, სოხუმში გამოვიყენებ მიღებულ გამოცდილებას. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცი ტურნირის შემადგენლობა, მაგრამ ალბათ ბევრი მონაწილე ნაცნობი იქნება. მონდომებას არ დავიშურებ, რომ გულშემატკივრები არ გავაწბილო.

## მოდის და მოდის...

საჭადრაკო კომპოზიცია ჩვენში დიდად პოპულარულია, ბევრი პრობლემისტი და ეტიუდისტიც გვყავს. ისინი ინტერესით გამოეხმაურნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ საჭადრაკო კომპოზიციაში გამოცხადებულ საკავშირო კონკურსს — „საქართველო-50", რომელიც საქართველოს კომპარტიის შექმნისა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება.

— თითქმის ყოველდღე ათობით ბარათი მოგვდის საჭადრაკო ნაწარმოებებით, — გვითხრა კონკურსის ერთ-ერთმა მსაჯმა, საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელმა ჭადრაკში რ. თავარიანმა. — საინტერესოა, რომ ეს წერილები გამოგზავნილია ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა მხრიდან. თავიანთი ნაწარმოებები ჟიურის სამსჯავროზე გამოაქვთ გამოჩენილ კომპოზიტორებსაც. დღეისთვის შემოსულია 30 ავტორის 120-მდე ამოცანა და ეტიუდი.

პირველი შთაბეჭდილებით, ბევრი ამოცანა და ეტიუდი იდეურად და ტექნიკურად კარგადაა გამართული. სამწუხაროდ, საქართველოდან შემოსული კომპოზიციების ნაწილი ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.

თვალსაჩინო რომ იყოს, როგორი ნაწარმოებები უნდა შემოვიდეს საკონკურსოდ, გთავაზობთ ვოლგოგრადელი ნ. მურზიკოვის ორსვლიან ამოცანას. შეეცადეთ ამოხსნათ.



შამათი ორ სვლაში

ნაწარმოებები მიიღება 1 დეკემბრამდე. შეგახსენებთ მისამართს: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი. კონკურსისთვის „საქართველო-50".

მძლეოსნები წლევანდელი სეზონის უკანასკნელ ტურნირებს მართავენ. გასულ შაბათსა და კვირას ერფურტში ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, რომლის შედეგებსაც უკვე ვიტყობინებოდით. ამ სურათზე აღნიშნული შეჯიბრების ის მომენტია აღბეჭდილი, როცა 100 მეტრზე მორბენალი ვაჟები ბრძოლაში ჩაებნენ. მარჯვნიდან მესამეა ამ დისტანციაზე გამარჯვებული საბჭოთა სპრინტერი ვ. ბორზოვი.

„ტრუდის" ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

## სპარტაკიადებისთვის მზადება







### ორ ჯგუფად

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადება ბორჯომის რაიონში დიდი ხანია დაიწყო. ხელმძღვანელმა ორგანოებმა დროულად დასახეს ღონისძიებები რაიონული ასპარეზობის კარგად გამართვისთვის და საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში მათი გუნდების მონაწილეობისთვის. შეკეთდა სპორტული ბაზები, შეივსო კოლექტივების სპორტინვენტარის მარაგი, გაიმართა შიდასაკოლექტივო და სპორტსაზოგადოებათა რაისაბჭოების სპარტაკიადები.

რაიონული ტურნირის მასობრიობის მიზნით სპარტაკიადას ორ ჯგუფად ვატარებთ. I ჯგუფი სპორტსაზოგადოებათა ნაკრებმა გუნდებმა შექმნეს, II ჯგუფში კი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სატყეო ტექნიკუმის, სახელოსნო სასწავლებლისა და სკოლა-ინტერნატის კოლექტივები იასპარეზებენ.

I ჯგუფის გუნდების სპარტაკიადა უკვე დამთავრდა. კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ „განთიადის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნისა“ და „ლოკომოტივის“ ნაკრები კოლექტივები. საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება დაისაკუთრა „განთიადის“ რაისაბჭოს ნაკრებმა, რომელსაც საბოლოოდ 11 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. განთიადელები საუკეთესონი იყვნენ კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა ტურნირებში, მძლეოსნობაში და მაგიდის ჩოგბურთში. მათვე II ადგილები დაიკავეს ტყვიის სროლაში (431 ქულა 500-დან), ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ასპარეზობაში, ჭადრაკში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდა „სპარტაკი“ (18 საჯარიმო ქულა), რომელიც უძლიერესი იყო ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა შორის, ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში (461 ქულა). სპარტაკელებმა II ადგილი მოიპოვეს მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა ტურნირებში კი III ადგილებს დასჯერდნენ.

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს ნაკრები საერთო III ადგილით დაკმაყოფილდა (21 საჯარიმო ქულა.) ამ საზოგადოების სპორტსმენები მეორენი იყვნენ კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა, აგრეთვე, მძლეოსანთა შეჯიბრებებში. ტყვიის სროლაში (341 ქულა), ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში კი მათ III ადგილები ხვდათ.

II ჯგუფის კოლექტივების რაიონული სპარტაკიადა 27 ოქტომბერს დაიწყება.

ორივე ეს ტურნირი, ფაქტიურად, რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადების მორიგი ეტაპია, გენერალური რეპეტიცია კი იქნება მომავალი წლის რაიონული სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს — 25 თებერვალს აიღებს სტარტს. მაშინ ორივე ჯგუფის კოლექტივები ერთმანეთთან დავაში გაერკვევენ, საიუბილეო სპარტაკიადისთვის ვინ უკეთ მოემზადა.

**ა. გელაშვილი,**

**ბორჯომის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

# ერთობლივი შრომის ნაყოფი

ვლადიმერ სახიევი თელავის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა. იგი სულ ერთი წელია მუშაობს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ეს სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადისთვის მზადების წელია. სახიევმა კარგად გაართვა თავი სპარტაკიადის მთავარ ამოცანას: ამ დიდი ასპარეზობის სტარტები რაიონში მასობრივი იყო. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ვ. ბუკინი ეწვია ვ. სახიევს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **სპარტაკიადა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა სპორტულ ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ ხშირად გვავიწყდება ის ხალხი, ვინც ამ დიდი მოვლენის მომზადებისთვის ილვწის.**

— სწორედ ამიტომ, პირველ ყოვლისა დავასახელოთ რაიალმასკომის თავმჯდომარე მედეა მეზვრიშვილი. სწორედ ის ჩაუდგა სათავეში რაიონული სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს. სპორტის ასეთივე ენთუზიასტები არიან კომიტეტის სხვა წევრებიც — რაიონის მთავარი ექიმი შ. ბალარჯიშვილი, რუისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. კალანდარიშვილი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ქორთუა.

ძალიან დაგვეხმარა პარტიის რაიკომიც. ფიზკულტურის საკითხებზე ერთი წლის მანძილზე ორჯერ იმსჯელა რაიკომის ბიურომ. ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა იგრძნეს, რომ ფიზკულტურა სახელმწიფოებრივი საქმეა. სპარტაკიადის I ეტაპი ფიზკულტურის ყველა (90) კოლექტივში ჩატარდა და სტარტზე 30 ათასი კაცი გამოვიდა.

● **რომელი შეჯიბრება იყო ყველაზე საინტერესო?**

— კარგად ჩატარდა კალათბურთელთა ასპარეზობა, რომელიც რაიალმასკომის მდივანმა თ. ხუციშვილმა მოამზადა. იგი რაიონის კალათბურთელთა გუნდის ყოფილი წევრია და ახლა მონდომებას არ იშურებდა. „ბურევესტნიკისა“ და „კოლმეურნის“ ვაჟთა გუნდების ფინალურ შეხვედრას თითქმის მთელი პედაგოგიური ინსტიტუტი დაესწრო, მაგრამ სოფლის კალათბურთელთა „დუეტი“ (გ. ლამაზაშვილი და ზ. ნადირაძე) ბრწყინვალედ თამაშობდა და გამარჯვება „კოლმეურნეს“ ხვდა — 61:37.

რ. მაისურაძის („განთიადი“) და ზ. გოგიაშვილის („კოლმეურნე“) შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში სულ ხუთ წუთს გაგრძელდა. ეს დაძაბული, სანახაობრივად მიმზიდველი ბრძოლა ქულებით მოიგო მაისურაძემ, მაგრამ მაყურებლის ტაში ორივე მეტოქეს ეკუთვნოდა.

ძალოსანთა შეჯიბრების მთავარი არბიტრი იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი ს. გელაძე, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა. აქ კარგად გამოვიდნენ ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელი დ. კახიძე და თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენი ბ. დემურხანაშვილი.

რაიონული სპარტაკიადის III ეტაპზე შეჯიბრებები 9 სახეობაში ჩატარდა. გამარჯვებული კი ვადამდე გამოვლინდა: პირველობა „კოლმეურნემ“ დაისაკუთრა.

● **რამ განაპირობა სოფლის სპორტსმენთა წარმატება?**

— კარგი, შრომისმოყვარე ხელმძღვანელი ჰყავთ. ვ. გაგნიძე 20 წელია სპორტს ემსახურება. თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ფიზკულტურული მუშაობა ერთ ხანს ჩამორჩენილი იყო. გაგნიძემ ტექნიკუმის დირექტორ ა. ალადაშვილთან და ფიზკულტურის უფროს მწვრთნელ ბ. საყვარელიშვილთან ერთად დაიწყო ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის ზრუნვა. შეიქმნა კარგი აქტივი და სექციებიც ამუშავდნენ. ახლა ამ ტექნიკუმის 377 სტუდენტიდან 344 ფიზკულტურელია. წლეულს მოამზადეს 2 სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში (ი. ელოშვილი, ბ. დანაჭრელაშვილი), 9 პირველთანრიგოსანი, 27 მეორე და 67 მესამე თანრიგის სპორტსმენი. სპარტაკიადაში 314 კაცი მონაწილეობდა. მაგიდის ჩოგბურთსა და ჭიდაობაში შეჯიბრებები ახალ სპორტულ დარბაზში გაიმართა.

კარგად ჩატარდა სპარტაკიადა სოფელ ფშაველის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაშიც. საინტერესო იყო ფეხბურთელთა შეჯიბრებები, სადაც ქუჩის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს მშვიდობის ქუჩის წარმომადგენლებმა.

კოლმეურნე სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ ახალი, ყოველმხრივ უნაკლო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შეიძინონ შტანგა... მათი გეგმები ალბათ შესრულდება, რადგან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. ჭუაძემ იცის სპორტის ყადრი. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამ სოფლის 315 ფიზკულტურელისგან შემდგარი აქტივი 1969 წელს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში“ უძლიერეს კოლექტივად დაასახელეს.

უნდა აღინიშნოს სოფელ რუისპირის სპორტსმენთა ინიციატივა, რომელთაც წამოაყენეს წინადადება სასოფლო სპორტული მოედნების კეთილმოწყობის შესახებ. მათს თაოსნობას მყისვე დაუჭირეს მხარი ვანთისა და ქვემო ხოდაშნის მშრომელებმა. ახლა რაიონის ბევრ სოფელში სანიმუშო სპორტული მოედნები აქვთ.

აი, ეს ყოველივე უდევს საფუძვლად სოფლის სპორტსმენთა წარმატებას.

● **სპარტაკიადაში თავი გამოიჩინა თელავის მე-8 საშუალო სკოლამაც...**

— დიახ. საინტერესოა, რომ იქ შეჯიბრების დროს თავად მოსწავლეები მსაჯობდნენ. მსაჯობდნენ მკაცრად, მაგრამ ასპარეზობის ყველა (411) მონაწილე კმაყოფილი იყო. საერთოდ, ეს სკოლა მოწინავეა (ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. დარჩიაშვილი). ბავშვები გაკვეთილზე სპორტულ ფორმაში გამოწყობილნი ცხადდებიან. გაკვეთილები ცოცხლად, საინტერესოდ, მე ვიტყოდი, სპარტაკიადის დონეზე ტარდება. ახლა დარჩიაშვილისგან მაგალითი თელავის 1-ლ სკოლამაც გადაიღეს. თუ გნებავთ, ესეც გახლავთ სპარტაკიადის ერთი ნიშანი — ფიზკულტურის გაკვეთილის დონის ამაღლება.

● **სპარტაკიადამ ალბათ ნაკლოვანებებიც გამოავლინა.**

— სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჭიდაობის დარბაზის მშენებლობა ვერ მოვასწარით და ამ სახეობის წარმომადგენლები საზაფხულო თეატრში ვარჯიშობდნენ. მიუხედავად ამისა, შ. დალაქიშვილის არც ერთი მოწაფე არ ტოვებს საყვარელ სპორტს. ექვსი მათგანი უკვე პირველთანრიგოსანია, თუმცა დალაქიშვილი სულ ერთი წელია მოჭიდავეთა წვრთნას ხელმძღვანელობს.

თელავში ნელი ტემპით მიმდინარეობს კომპლექსური სპორტული მოედნის (ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის) მშენებლობა. საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი არა ჰყავთ და სპორტული მოედნები არა აქვთ მე-4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, სოფელ ართანის კოლმეურნეობაში, ლაფანყურის საბჭოთა მეურნეობაში. „საქვაჭრობას“ კარგი ფეხბურთელთა გუნდი ჰყავდა, მაგრამ ახლა აქ ფეხბურთშიც ჩაიშალა მუშაობა და სხვა სახეობებშიც. სამწუხაროდ, ჩამორჩენილი კოლექტივები კიდევ შეიძლებოდა დაგვესახელებინა.

● **მიუხედავად ამისა, სპარტაკიადამ თქვენ მოგცათ 2 სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 81 პირველთანრიგოსანი, 216 მეორე და 1087 მესამე თანრიგის სპორტსმენი. ერთი სიტყვით, კარგ რეზერვს უმზადებთ რაიონის ნაკრებ გუნდებს.**

— გეთანხმებით. მით უმეტეს, რომ ჩვენი წარმომადგენლები ისპარეზებენ მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, საგზაო-კველოსიპედო ველორბოლაში, ჭიდაობის ოთხივე სახეობაში. გუნდები შექმნილია, სპორტსმენები გულმოდგინედ ვარჯიშობენ და წარმატების იმედიც გვაქვს.

# ვეტერანის სახელობისა

თბილისის ტანვარჯიშის ფედერაციის ინიციატივით დაწესდა გამოჩენილი ქართველი ტანმოვარჯიშის გიორგი (გულო) რცხილაძის სახელობის გარდამავალი თასი, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად გათამაშდება სპორტსაზოგადოებათა შორის. ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დროულად შეატყობინა სპორტულ საზოგადოებებს ამ ღონისძიების შესახებ და სათანადო დებულებაც გაუგზავნა, რომლის თანახმად ყოველ გუნდში 9 ქალი და 9 ვაჟი უნდა გამოსულიყო (ჩათვლაში 8-8 საუკეთესო შედეგი შედიოდა).

და აი, 25 სექტემბერს სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. რცხილაძის სახელობის თასისთვის ბრძოლაც დაიწყო. შეჯიბრება გახსნეს ქალებმა, მაგრამ ფიცარნაგზე მხოლოდ 3 გუნდის — „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ წარმომადგენლები გამოვიდნენ. ამათგანაც დებულების შესაბამისად 9 მონაწილე მხოლოდ „დინამომ“ გამოიყვანა. „ბურევესტნიკსა“ და „სპარტაკს“ მხოლოდ 3-3 ტანმოვარჯიშე ჰყავდათ. ამგვარად, გუნდური პირველობის ბედი ქალთა შორის უკვე „დინამოს“ სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. ამიტომ ბრძოლა პირადი პირველობისთვის გაიმართა, სადაც დამსახურებულად გაიმარჯვა ბურევესტნიკელმა სპორტის ოსტატმა რ. ჯინჭარაძემ — 37,35 ქულა.

II-III ადგილები ერთნაირი შედეგით (36,9) გაიყვეს დინამოელებმა ე. მარეხაშვილმა და ქ. კობერიძემ.

გარდამავალი თასი „დინამოს“ კოლექტივმა 258,18 ქულით დაისაკუთრა. II ადგილზე გასულ „ბურევესტნიკს“ მან 138,72 ქულით აჯობა. III ადგილი „სპარტაკის“ გუნდმა დაიკავა — 95,99.

ამ კარგად ჩაფიქრებულმა შეჯიბრებამ ელფერი დაკარგა მონაწილეთა სიმცირის გამო. ასპარეზობას თავი აარიდეს ისეთმა საზოგადოებებმა, როგორიც არიან „განთიადი“, „ლოკომოტივი“ და არმიის სპორტული კლუბი.

ვაჟთა შორის ბრძოლა უფრო საინტერესოდ წარიმართა, ვინაიდან ორმა გუნდმა („დინამომ“ და „ბურევესტნიკმა“) მონაწილეთა თანაბარი რაოდენობით იასპარეზა. ცხადია, აქ გამარჯვებული სიძლიერის მიხედვით გამოვლინდა და არა მეტი მონაწილის ხარჯზე, როგორც ეს ქალთა შეჯიბრებაში მოხდა.

„ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა (389,395 ქულა), მაგრამ ქალთა კოლექტივის ქულების მცირე მარაგის გამო საბოლოოდ ამ საზოგადოების ნაკრებმა II ადგილზე გადაინაცვლა — 508,855.

თასის მფლობელი გახდა „დინამო“, რომლის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა 631,071 ქულა დააგროვეს.

III ადგილზეა „სპარტაკი“ — 210,53.

ოსტატ ვაჟთა შორის გაიმარჯვა დინამოელმა გ. ლოლაძემ — 55,75 ქულა. II ადგილი დაიკავა ბურევესტნიკელმა ა. ჩქოტუამ (55,7), III — ასევე ბურევესტნიკელმა ე. ექსუზიანმა — 54,1.

გარდამავალი თასის გარდა მოასპარეზეთათვის დაწესებული იყო ჯილდოები გ. რცხილაძის რჩეულ იარაღებზე ვარჯიშისთვის. ეს პრიზები დაისაკუთრეს გ. ლოლაძემ (ღერძი) და ქ. კობერიძემ (ორძელი).

ამ შეჯიბრებაში „სპარტაკისა“ და „შრომითი რეზერვების“ ვაჟთა გუნდები 2-2 მონაწილით იყვნენ წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, მათს წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. როგორც ჩანს, ამ სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელობა კმაყოფილდება თითოოროლა სპორტსმენით, რომლებიც საქართველოს ნაკრებში ვარჯიშობენ, და ნაკლებად ზრუნავს მომავალი კადრების აღზრდისთვის.

გამოჩენილი სპორტსმენების გარდა, ჩვენს რესპუბლიკას საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი მსაჯებიც ჰყავს. მაგრამ რატომ ხდება, რომ ყველა ეს ტიტულიანი არბიტრი კატეგორიულად არიდებს თავს „მცირე“ მასშტაბის შეჯიბრებების მომსახურებას? ამის გამო იძულებული ვხდებით მოვიწვიოთ გამოუცდელი ახალგაზრდები, რომლებსაც მსაჯობის დროს უამრავი შეცდომა მოსდით. ეს იწვევს შეჯიბრების ხარისხის დაქვეითებას, იკარგება სანახაობრივი სილამაზეც. თანაც, ასეთ მსაჯებს შენიშვნასაც კი ვერ მისცემს კაცი, რადგან ისინიც დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მოდიან სამსაჯოდ. ამ მეტად საჭირბოროტო საკითხს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, ვინაიდან მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მსაჯობის დროს შეიძლება გამოვლინდნენ ღირსეული სპორტსმენები, რომლებიც მომავალში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ. მაშინ არც საქართველოს ნაკრებ გუნდში აღმოჩნდება შემთხვევით მოხვედრილი სპორტსმენი.

**ჯ. კვანტალიანი,**

**სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

ფეხბურთი 1970

## ქულები, გოლები, ფაქტები

1 ოქტომბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები.

მოსკოველთა ორი გუნდის — „დინამოსა" და „ტორპედოს" შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ამ მატჩის გმირი იყო დინამოელი ევრიუჟიხინი, რომელმაც შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოულოდნელი დარტყმით პირველი გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში ტორპედოელმა ნიკონოვმა, მართალია, ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ დინამოელებმა მაინც შეძლეს გამარჯვების ბურთის გატანა. გოლის ავტორი ამჯერადაც ევრიუჟიხინი გახლდათ.

ცსკა-მ სტუმრად მინიმალური ანგარიშით (1:0) მოუგო გათამაშების აუტსაიდერს — ორჯონიკიძის „სპარტაკს". ეს ერთადერთი გოლი გაიტანა კოპეიკინმა.

„ზარია" მასპინძლობდა „ზენიტს". ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

როსტოველმა არმიელებმა შეილეს მინსკის „დინამო". გოლის გატანას ორივე გუნდი დიდხანს ცდილობდა და ბოლოს მასპინძლებმა იმარჯვეს: როცა თამაშის დამთავრებას 24 წუთი აკლდა, ანტონოვმა ანგარიში გახსნა. სამიოდე წუთის შემდეგ მინსკელთა მცველი სკოკოვი შეცდა და ბონდარენკომ მეორედ აიღო მეტოქის კარი. მატჩის მიწურულს მინსკელმა მალოფეევმა ერთი გოლი გაქვითა.

„ჩერნომორეცმა" შინ მეტად ძვირფასი 2 ქულა მოიპოვა „ნეფთჩისთან" შეხვედრაში. ერთადერთი გოლის ავტორია პორკუჟანი.

„არარატმა" და „პახტაქორმა" თითო ქულა გაინაწილეს — 1:1. თამაშის დასაწყისშივე ჯერ დონეცკელმა კიკოტმა გაიტანა გოლი, ხოლო შემდეგ კაზარიანმა ანგარიში გაქვითა. ეს მოხდა შეხვედრის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე. მანამდე ერევნელები გამუდმებით უტევდნენ. მათს აშკარა უპირატესობაზე მიუთითებდა ისიც, რომ „არარატმა" ჩვიდმეტჯერ მოაწოდა კუთხური.

„ფახთაქორმა" კიევის „დინამოს" უმასპინძლა. მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს — 1:1. აქაც პირველად სტუმრებმა აიღეს კარი (კაშჩეი). შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში (როდიონოვი) გაათანაბრეს.

„ბ" კლასი

II ზონის 1 ქვეჯგუფი

## ჩვენს ქალაქში

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით რუსთავის „მეტალურგისა" და ფოთის „კოლხეთის" შეხვედრის შედეგს. ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „კახეთი" (თელავი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:4, „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „ტორპედო" (ეისკი) 1:1, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „დინამო" (სოხუმი) 1:1, „სპარტაკი" (რიაზანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:2, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „სულორი" (ვანი) 0:1.

სსრ კავშირის პირველობა

# გამარჯვების მიუხედავად...



ს უ რ ა თ ზ ე: გ. ნოდიას გააქვს ბურთი ტორპედოელთა კარში.
ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (1:1).

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, აბზიანიძე, ჰოხონელიძე, ანფიმიადი, ნაჭყებია, ერქომაიშვილი, ოქროპირაშვილი, სანაია, ვეკუა.

„დინამო": სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ილიადი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი (მაჩაიძე), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები — 2:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

ამ მატჩში დინამოელები უფერულად და ინერტულად თამაშობდნენ. მათი სამოქმედო უბანი ძირითადად მინდვრის შუაგულით შემოიფარგლებოდა. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისკენ იშვიათად გაიჭრებოდნენ ძმები ნოდიები, ასათიანი, მეტრეველი, მაგრამ მათ მიერ ფლანგებიდან ჩაწოდებულ ბურთს რიცხობრივი უპირატესობის გამო „ტორპედოს" მცველები ეუფლებოდნენ. და სწორედ აქედან, წვერავას თაოსნობით იწყებოდა გაცილებით უფრო გეგმაზომიერი, გამიზნული შეტევები. ამიტომ იყო, რომ ტორპედოელებმა „დინამოს" კარის საიმედოობა მატჩის პირველივე წუთებში რამდენიმეჯერ მოსინჯეს. სტეფანიამ ჯერ სანაიას ძლიერი ბურთი აიღო, შემდეგ კი ვეკუას მიერ ახლოდან დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. პირველი გოლი მაინც დინამოელებმა გაიტანეს: ერთ-ერთი კონტრშეტევისას მეტრეველმა საუკეთესო პოზიციაში გაიყვანა გ. ნოდია, რომლის ზუსტი დარტყმით გაიხსნა კიდეც ანგარიში. ეს მოხდა მე-14 წუთზე.

ამის შემდეგ ტორპედოელებმა, რომლებსაც უკან დასახევი გზა აღარ დარჩენიათ, იერიში უფრო გააძლიერეს. 22-ე წუთზე სტეფანიას პირისპირ გასულ სანაიას თბილისელთა მცველმა ფეხებში ჩაუვარდა და აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი. 28-ე წუთზე დინამოელთა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. ერქომაიშვილმა ბურთი კარგად ჩააწოდა წვერავას, რომლის უძლიერესმა დარტყმამ მიზანს მიაღწია: ანგარიში გათანაბრდა.

ტორპედოელებს პირველი ნახევრის დარჩენილ დროშიც ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ სტეფანია მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

„ტორპედომ" მაინც მიაღწია საწადელს: 55-ე წუთზე ნაჭყებიამ მოულოდნელად დაარტყა მეტოქის კარში და სტეფანიამ მხოლოდ ის შეძლო, რომ შორეული კუთხისკენ მიმავალ ბურთს თვალი გააყოლა.

მატჩის დარჩენილი დრო ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

გამარჯვების მიუხედავად, ქუთაისელთა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ერთობ უიმედოა.

ზ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ა" კლასი
უმაღლესი ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 26 | 15 | 6 | 5 | 41—18 | 36 |
| ცსკა | 25 | 15 | 4 | 6 | 38—15 | 34 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 26 | 10 | 12 | 4 | 39—21 | 32 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 26 | 10 | 11 | 5 | 25—20 | 31 |
| „დინამო" (თბილისი) | 25 | 11 | 7 | 7 | 33—22 | 29 |
| „დინამო" (კიევი) | 27 | 12 | 5 | 10 | 29—24 | 29 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 26 | 7 | 13 | 6 | 23—23 | 27 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 26 | 9 | 9 | 8 | 26—28 | 27 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 25 | 8 | 10 | 7 | 22—16 | 26 |
| „დინამო" (მინსკი) | 26 | 8 | 9 | 9 | 28—25 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 25 | 9 | 7 | 9 | 23—24 | 25 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 27 | 6 | 11 | 10 | 19—39 | 23 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26 | 7 | 7 | 12 | 22—33 | 21 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 26 | 7 | 7 | 12 | 24—36 | 21 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 7 | 7 | 12 | 27—46 | 21 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 28 | 5 | 10 | 13 | 20—33 | 20 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 26 | 4 | 7 | 15 | 22—38 | 15 |

„ა" კლასი
I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაირათი" (ალმა-ათა) | 34 | 20 | 8 | 6 | 55—21 | 48 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 33 | 17 | 11 | 5 | 45—20 | 45 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 34 | 18 | 9 | 7 | 40—21 | 45 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 34 | 17 | 8 | 9 | 44—28 | 42 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 34 | 13 | 16 | 5 | 36—20 | 42 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 33 | 16 | 8 | 9 | 46—35 | 40 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 34 | 16 | 7 | 11 | 39—26 | 39 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 34 | 15 | 9 | 10 | 29—29 | 39 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 33 | 12 | 12 | 9 | 34—31 | 36 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 34 | 12 | 11 | 11 | 38—29 | 35 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 33 | 11 | 11 | 11 | 32—25 | 33 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 34 | 12 | 7 | 15 | 29—32 | 31 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 34 | 9 | 13 | 12 | 22—31 | 31 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 34 | 10 | 11 | 13 | 28—42 | 31 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 34 | 8 | 14 | 12 | 21—29 | 30 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 34 | 10 | 10 | 14 | 27—42 | 30 |
| ასკ (კიევი) | 34 | 9 | 8 | 17 | 33—42 | 26 |
| „პამირი" (დუშანბე) | 34 | 9 | 8 | 17 | 34—50 | 26 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 34 | 7 | 11 | 16 | 27—37 | 25 |
| „დაუგავა" (რიგა) | 34 | 7 | 11 | 16 | 27—41 | 25 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 33 | 8 | 9 | 16 | 26—40 | 25 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 33 | 6 | 6 | 21 | 20—61 | 18 |

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 26 | 14 | 7 | 5 | 32—18 | 35 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 26 | 13 | 8 | 5 | 40—21 | 34 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 28 | 8 | 17 | 3 | 34—22 | 33 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 28 | 9 | 13 | 6 | 32—29 | 31 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 23 | 13 | 4 | 6 | 40—24 | 30 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 26 | 10 | 10 | 6 | 36—22 | 30 |
| „კახეთი" (თელავი) | 26 | 13 | 4 | 9 | 36—31 | 30 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 24 | 8 | 11 | 5 | 24—17 | 27 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 26 | 7 | 12 | 7 | 33—30 | 26 |
| „სულორი" (ვანი) | 28 | 10 | 6 | 12 | 26—43 | 26 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 23 | 8 | 8 | 7 | 31—18 | 24 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 26 | 7 | 9 | 10 | 22—26 | 23 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 25 | 8 | 7 | 10 | 17—23 | 23 |
| „დინამო" (სოხუმი) | 28 | 5 | 11 | 12 | 23—33 | 21 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 26 | 8 | 5 | 13 | 26—48 | 21 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 4 | 10 | 6 | 17—19 | 18 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 27 | 5 | 6 | 16 | 22—45 | 16 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 26 | 3 | 8 | 15 | 13—35 | 14 |

„ა" კლასი
II ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 34 | 19 | 11 | 4 | 47—21 | 49 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 33 | 16 | 13 | 4 | 40—14 | 45 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 34 | 18 | 9 | 7 | 46—24 | 45 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 34 | 16 | 11 | 7 | 66—30 | 43 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 34 | 13 | 14 | 7 | 32—29 | 40 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 35 | 12 | 14 | 9 | 36—32 | 38 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 34 | 13 | 12 | 9 | 34—33 | 38 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 34 | 12 | 14 | 8 | 36—37 | 38 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 34 | 14 | 9 | 11 | 45—33 | 37 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 34 | 14 | 8 | 12 | 39—39 | 36 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 34 | 9 | 16 | 9 | 31—30 | 34 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 32 | 11 | 10 | 11 | 26—28 | 32 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 34 | 7 | 16 | 11 | 29—39 | 30 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 34 | 11 | 7 | 16 | 34—35 | 29 |
| „დილა" (გორი) | 32 | 10 | 9 | 13 | 35—41 | 29 |
| „ვოლგა" (გორკი) | 31 | 9 | 10 | 12 | 31—32 | 28 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 31 | 10 | 8 | 13 | 29—34 | 28 |
| „დინამო" (ბათუმი) | 30 | 8 | 11 | 11 | 22—30 | 27 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 34 | 6 | 14 | 14 | 28—36 | 26 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 34 | 8 | 10 | 16 | 33—48 | 26 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 34 | 5 | 10 | 19 | 23—62 | 20 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 34 | 4 | 8 | 22 | 18—53 | 16 |

## პირველი კაემანი მეხიკოს შემდეგ

რიო-დე-ჟანეირო, 1 ოქტომბერი. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა — ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა „მარაკანის" სტადიონზე ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა მექსიკის ეროვნულ გუნდს.

ბრაზილიელებმა თავიანთი ახალი გამარჯვებების „სია" გახსნეს — 2:1.

მე-15 წუთზე პელეს წამოწყებული კომბინაცია მეტოქის კარის აღებით დაამთავრა ჟაირზინიომ, 55-ე წუთზე კი ტოსტაომ, ანგარიში გაზარდა.

მატჩის დამთავრებას თითქმის აღარაფერი აკლდა, როცა მექსიკელმა ლოპესმა ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა.

# ისევ მაყურებლებში გადაინაცვლეს

მოსკოვის „სპარტაკმა" და ლვოვის „კარპატიმ" უდიდეს ევროპულ ტურნირებში სულ 2-2 მატჩი გამართეს და... მაყურებლებში გადაინაცვლეს: მოსკოველებმა 30 სექტემბერს ჩემპიონთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩი წააგეს ბაზელში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან, ხოლო თასების მფლობელთა თასის განმეორებით შეხვედრაში (30 სექტემბერი, ბუქარესტი) „კარპატიმ" გამარჯვებას ვერ მიაღწია რუმინეთის დედაქალაქის „სტიაუასთან" და მას მერვედფინალის გზა დაუთმო.

როგორც გახსოვთ, მოსკოვის „სპარტაკმა" შინ გამართული მატჩის „ენდშპილში" ორი ბურთი გაუშვა და, თუმცა გაიმარჯვა (3:2), ერთობ პრობლემატური გახადა მერვედფინალში გასვლა. ასეც მოხდა: შვეიცარიელებმა საკუთარ მინდორზე ძალიან დიდი აღმავლობით ითამაშეს და მიზანსაც მიაღწიეს — 2:1. მართალია, გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ, მაგრამ, დებულების თანახმად, სტუმრად გატანილი ბურთები ორმაგად ფასდება.

წმინდა იაკობის სტადიონზე გამართული მატჩის წინ „ბაზელის" მოთამაშე მწვრთნელმა ბენტჰაუსმა განაცხადა: „ჩვენი გუნდის თამაშის ძირითადი პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ მეტოქეს ჩვენს მინდორზე გამარჯვების საშუალება არ მივცეთ. ჩვენ ხომ აგერ უკვე სამ წელიწადზე მეტია არ ვიცით, რა არის შინ წაგება..." მატჩის შემდეგ ბენტჰაუსმა თქვა: „სპარტაკის" წინააღმდეგ შინ უკეთესად ვითამაშეთ, ვინემ მოსკოვში. მოთამაშეთაგან ცალკე ვერავის გამოვყოფ. მეტოქეთა შორის მომეწონა პაპაევი, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში".

„სპარტაკის" გუნდის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. სტაროსტინმა განაცხადა: „ბაზელში საპასუხო მატჩი რამდენადმე მოგვაგონებდა მოსკოვში გამართულ შეხვედრას. თუ ჩვენს დედაქალაქში „ბაზელს" არ ეყო დრო ფრედ დაემთავრებინა თამაში, ახლა ასეთივე ბედი ეწია „სპარტაკს". ჩვენმა გუნდმა ვერ ითამაშა კარგად, ხოლო კავაზაშვილისა და ლოგოფეტის შეცდომებმა საბედისწერო როლი შეასრულეს".

„ბაზელმა" შინ მართლაც ძლიერად ითამაშა. გოლები გაიტანეს: 48-ე წუთზე ზიგენტალერმა (ამ გოლის თანაავტორად თამამად შეიძლება დავასახელოთ კავაზაშვილი), 56-ე წუთზე — ბალმერმა და 84-ე წუთზე სპარტაკელთა კაპიტანმა ჰუსაინოვმა.

ლვოვში წაგებული მატჩის (0:1) შემდეგ „კარპატის" მიზნის მისაღწევად, ცხადია, ბუქარესტში უნდა გაემარჯვა. ლვოველებმა მართლაც კარგად ითამაშეს „სტიაუასთან" და მიზანთან ახლოს იყვნენ კიდეც, მაგრამ რუმინელებმა შეძლეს მატჩის ფრედ დამთავრება — 3:3.

ამრიგად, ერთხელ კიდევ ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ფეხბურთი აშკარა კრიზისს განიცდის.

ამ ორი ევროპული ნადავლის მაძიებელთა რიცხვი განახევრდა, თანაც, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი „უპატრონოდ" დარჩა — ამ პრიზის მფლობელმა — ჰოლანდიის „ფეიენოორდმა" ვერ შეძლო ბუქარესტში ადგილობრივი უტა-ს დამარცხება (0:0) და ბრძოლას გამოეთიშა, ვინაიდან უტა-მ როტერდამში ფრეს (1:1) მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ „ფეიენოორდი" მეორე პრიზსაც — საკონტინენტთაშორისო თასსაც დაემშვიდობა: გაისად ევროპას ჩემპიონთა თასის მფლობელად ხომ სხვა გუნდი მოევლინება.

აი, ჩემპიონთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის მონაწილეთა სხვა შედეგებიც:

„სტანდარდი" (ბელგია) — „რუზენბორგი" (ნორვეგია) 5:0
„ფლორიანა" (მალტა) — „სპორტინგი" (პორტუგალია) 0:4
„ბკ-1903" (დანია) — „სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) 2:2
„კარლ ცაისი" (გდრ) — „ფენერბაჰჩე" (თურქეთი) 1:0
„კეფლავიკი" (ისლანდია) — „ევერტონი" (ინგლისი) 0:3
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ნენდორი" (ალბანეთი) 2:0
„ლეგია" (პოლონეთი) — „გეტებორგი" (შვეცია) 2:1
„აუსტრია" (ავსტრია) — „ატლეტიკო" (ესპანეთი) 1:2
„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „უიპეშტ-დოჟა" (უნგრეთი) 4:0
„სენტ-ეტიენი" (საფრანგეთი) — „კალიარი" (იტალია) 1:0
„კოკოლა" (ფინეთი) — „სელტიკი" (შოტლანდია) 0:5
„უოტერფორდი" (ირლანდია) — „გლენტორანი" (ჩრდილოეთ ირლანდია) 1:0
„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „ჟენესი" (ლუქსემბურგი) 5:0

ორი მატჩის ჯამში მერვედფინალში გავიდნენ: „სტანდარდი", „სპორტინგი", „სლოვანი", „კარლ ცაისი", უტა, „ევერტონი", „აიაქსი", „ლეგია", „ატლეტიკო", „ცრვენა ზვეზდა", „კალიარი", „სელტიკი", „უოტერფორდი", „პანათინაიკოსი", „ბაზელი". მანამდე გათამაშების პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია „ბორუსიამ" (გფრ).

ამავე დღეს (30 სექტემბერი) გამართული მატჩები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მონაწილეთა შორის ასე დამთავრდა:

„ლინფილდი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — პრიზის მფლობელი „მანჩესტერ-სიტი" (ინგლისი) 2:1.
„ჩელსი" (ინგლისი) — „არისი" (საბერძნეთი) 5:1
„პოლი" (კვიპროსი) — „კარდიფ-სიტი" (უელსი) 0:0
„ბრიუგე" (ბელგია) — „კიკერი" (გფრ) 2:0
„ბოლონია" (იტალია) — „ფორვერტსი" (გდრ) 1:1
„ვალკეაკოსკი" (ფინეთი) — ცსკა (ბულგარეთი) 1:2
„ჰონვედი" (უნგრეთი) — „აბერდინი" (შოტლანდია) 3:1
„ნანტი" (საფრანგეთი) — „სტრემგოდსეტი" (ნორვეგია) 2:3
„გურნიკი" (პოლონეთი) — „ოლბერგი" (დანია) 8:1
„პარტიზანი" (ალბანეთი) — „ვაკერი" (ავსტრია) 1:2
„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „გოტვალდოვი" (ჩეხოსლოვაკია) 1:0
„რეალი" (ესპანეთი) — „ჰიბერნიენი" (მალტა) 5:0
„ოლიმპია" (იუგოსლავია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 1:3

„ჰონვედისა" და „აბერდინის" მატჩში მსაჯმა დამატებითი დრო დანიშნა: პირველი შეხვედრაც ხომ მასპინძლის გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 3:1. ამრიგად, ამ კლუბების ფეხბურთელებს თითო მოგება და ბურთების ერთნაირი ბალანსი (4:4) ჰქონდათ. მაგრამ არც ამ დამატებითმა დრომ (ორი 15-15-წუთიანი ტაიმი) გამოავლინა გამარჯვებული და არბიტრი იძულებული გახდა „უკიდურესი" ზომისთვის მიემართა — მან 5-5 პენალტი დანიშნა. ბუდაპეშტელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ — 5:4.

ამრიგად, მერვედფინალში გავიდნენ: „მანჩესტერ-სიტი", „ჩელსი", „კარდიფ-სიტი", „ბრიუგე", „ფორვერტსი", „სტიაუა", ცსკა, „ჰონვედი", „ნანტი", „გურნიკი", „ვაკერი", „ეინდჰოვენი", „რეალი", „ბენფიკა". მანამდე ამ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს „ციურიხმა" (შვეიცარია) და „გიოზთეფემ" (თურქეთი).

მეორე ეტაპის კენჭისყრა 8 ოქტომბერს გაიმართება ამსტერდამში.

რედაქტორი მ. ძაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას წარმოებიდან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობაზე: ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა და სპორტული წვრთნა — 1 ადგილი.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებისა ასპირანტურის შესახებ.

საბუთების მიღება ყოველდღე, განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში. მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონი 22-24-49.

# გავრიილ კორობკოვის ახალი თანამდებობა

ჩეხოსლოვაკია. XII საერთაშორისო ბაზრობა ბრნოში მანქანათმშენებლობის მიღწევების ყოველწლიური დათვალიერებაა. აქ გამოფენილი იყო მსოფლიოს 28 ქვეყნის 1600-ზე მეტი საწარმოსა და ფირმის პროდუქციის ნიმუშები. 19 პავილიონში და 10 ღია მოედანზე გამოფენილი ექსპონატები 600 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.



სურათზე: ჩეხოსლოვაკიის პავილიონში, ახალი სპორტული ავტომანქანა „შკოდა 110-რ".
ჩტკ—საკდესის ფოტო.

მისი გვარი კარგადაა ცნობილი მძლეოსნურ სამყაროში. 15 წლის წინ მძლეოსნობის მწვრთნელთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გ. კორობკოვი სსრ კავშირის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ახლა მას ახალი თანამდებობა უჭირავს: ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მძლეოსნობის თეორიისა და მეთოდიკის ლაბორატორიას უდგას სათავეში.

ამ ლაბორატორიის შექმნის იდეა კორობკოვს დიდი ხანია გაუჩნდა. აი, რას ამბობს თავად იგი ამის თაობაზე:

— სპორტული მიღწევების დონე დღეს იმდენად მაღალია, რომ შემდგომი წინსვლა მეცნიერების აქტიური ჩარევის გარეშე, ყოველმხრივ თეორიულ ძიებათა, შემოწმებული და გამოცდილი რეკომენდაციების გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია. ჩვენი მიზანია მძლეოსანთა საწვრთნელი პროცესის კვლევა და მისი სრულყოფის გზების ძიება. პრობლემათა წრე უაღრესად ფართოა. ესაა წვრთნის მეთოდებისა და საშუალებათა შესწავლა, სპორტული ტექნიკის რაციონალიზაცია, მძლეოსანთა ფსიქოლოგიური მომზადებისა და ყოველდღიური რეჟიმის საკითხები, რაც უზრუნველყოფს ოპტიმალურ ვადებში საერთაშორისო კლასის შედეგების მოპოვებას. დასასრულ, ესაა მეთოდებისა და აღდგენის საშუალებათა კვლევა. იმ მიზნით, რომ სპორტსმენმა აუცილებელი მოცულობისა და ინტენსივობის სამუშაო შეასრულოს, საჭიროა საწვრთნელი პროცესის მსვლელობისას ღრმად გავაანალიზოთ ამგვარი მეთოდებისა და საშუალებათა შედეგები როგორც ერთი მეცადინეობისა და ერთი დღის ჯამში, ისე ცალკეული ციკლების, ერთწლიანი და მრავალწლიანი გეგმების მიხედვითაც კი.

ვეცნობი ახალ დაწესებულებას. ზედა სართულზე განლაგებულია კინოთეკა და ფირის სწრაფად დამუშავების ლაბორატორია, უცხოური ინფორმაციის ჯგუფი, რომელმაც, სხვათა შორის, უკვე ათეულზე მეტი ბიულეტენი გამოუშვა. ამ დაწესებულების მუშაკთა შორის არიან მწვრთნელები, კინოოპერატორები, ინჟინრები, ექიმები, მასაჟისტები, მთარგმნელები, სხვა პროფესიების სპეციალისტები.

ჩავდივართ დარბაზში. კაცმა რომ თქვას, ეს დარბაზი კი არა, ორი დამოუკიდებელი ოთახია. პირველში — საწვრთნელ დარბაზში — კედლები პლასტიკური მასალითაა დაფარული, იატაკზე ტარტანი აგია. აქ დგას სხვადასხვა იარაღი, ლაბორატორიის მუშაკთა ნახაზების მიხედვით დამზადებული ორიგინალური კონსტრუქციები.

დაგვაინტერესა მოძრავმა სარბენმა ბილიკმა, რომლის ტრიალის სისწრაფე და გადახრის კუთხეც მწვრთნელის ნება-სურვილის მიხედვით იცვლება. სპეციალური აპარატი მყისვე აღნიშნავს ყველა ცვლილებას, რაც რბენის დროს სპორტსმენის ორგანიზმში ხდება.

საინტერესოა ტყორცნის ბადეც. ცნობილია, რომ იარაღის ტყორცნის სიშორე საწყის სისწრაფეზეა დამოკიდებული. სწორედ ამას აღნიშნავენ ფოტოელემენტები, მონაცემები კი მყისვე ავტომატურად იწერება.

სარეაბილიტაციო ანუ აღდგენით დარბაზში, რომელსაც ჰაერის მაკონდიცირებელი მოწყობილობა აქვს, არის გასახდელები ქალებისა და ვაჟებისთვის, საექიმო კაბინეტები, დასვენების ოთახები, აუზები ჰიდრომასაჟით და სხვ.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ლაბორატორიის ახლოს შენდება ექსპერიმენტული მძლეოსნური სტადიონი, სადაც სარბენი ბილიკები, ტყორცნისა და ხტომის სექტორები ტარტანის მსგავსი მასალით დაიფარება. სტადიონი საექსპლოატაციოდ გაისად გაზაფხულზე გადაეცემა.

უკვე ჩამოყალიბებულია და წვრთნას შეუდგა ახალგაზრდა მძლეოსანთა (1950-52 წლებში დაბადებულნი) ორი პატარა ექსპერიმენტული ჯგუფი. მათთან იმუშავებენ პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჩისტიაკოვი, რომელიც, სხვათა შორის, წვრთნის ევროპის ორგზის ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში ვ. გავრილოვს და ვ. ბრუმელს, სპორტის დამსახურებული ოსტატი, წარსულში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბადრის ტყორცნაში ლ. მიტროპოლსკი, ერთ დროს ცნობილი საშუალო მანძილებზე მორბენალი კ. ოკოროკოვი და სხვ.

ჩვენი საუბრის დასასრულს გ. კორობკოვმა თქვა, რომ ლაბორატორიას განზრახული აქვს მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ორგანიზაციულ-მეთოდური რეკომენდაციები მისცეს უკვე მორიგი წინაოლიმპიური მოსამზადებელი პერიოდის დასაწყისისთვის (დაახლოებით 1971 წლის ოქტომბრისთვის). შემდეგ იგი მოამზადებს უფრო საფუძვლიან რეკომენდაციებს 1973-1976 წლების ოლიმპიური ციკლისთვის.

ი. ბარუ.

თბილისი სპორტულ ბუნიაში

მძლეოსნობა. იპოდრომი, 4 ოქტომბერი. პროფკავშირულ-კომკავშირული რესპუბლიკური კროსი. დასაწყისი 12 ს.

ტურისტული მრავალჭიდი. კიკეთის მიდამოები. 4 ოქტომბერი. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. ასკ-ს სტადიონი. საქართველოს პირველობა. 4 ოქტომბერი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გიგანტი" (ლაითური). დასაწყისი 14 ს. 30 წ. ასკ (თბილისი) — „მადაროელი" (ჭიათურა) დასაწყისი 16 ს. 30 წ.

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი

დღეს

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)

დასაწყისი 16 ს.